შეთანხმება №1 ე-3-271219-01

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და შპს „სამშენებლო და მყარი ნარჩენების მომსახურების სერვისს" შორის 2019 წლის 18 დეკემბერს გაფორმებულ №50-181219-02 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

ქ. თბილისი 27 დეკემბერი, 2019 წ.

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" (შემდგომში _ შემსყიდველი) და შპს „სამშენებლო და მყარი ნარჩენების მომსახურების სერვისს" (შემდგომში _ მიმწოდებელი) შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გაფორმდა №50-181219-02 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში _ ხელშეკრულება).

აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებს, გარდაბნის რაიონის სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიიდან (შემსყიდველის კუთვნილი ნავთობის პირველადი დამუშავების სამსახური) დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას (შემდგომში _ მომსახურება), 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ 2020-2022 წლების ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების შედეგად, შემსყიდველის მიერ 2019 წლის 26 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მის საკუთრებაში არსებული ობიექტებიდან, ყველა სახის ნარჩენის (ობიექტებზე წარმოქმნილი ნარჩენები, არასახიფათო ნარჩენებთან ერთად მოიცავს სახიფათო და ინერტულ ნარჩენებსაც) შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ტენდერ(ებ)ის საშუალებით. აღნიშნულმა გარემოებამ, დღის წესრიგში დააყენა 2019 წლის 18 დეკემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული, №50-181219-02 ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთის მხრივ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია," წარმოდგენილი დირექტორის კომერციულ საკითხებში თორნიკე გოცირიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სამშენებლო და მყარი ნარჩენების მომსახურების სერვისი" წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ახალკაციშვილის სახით (შემდგომში მხარეები), ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვეტილ იქნას სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა" და შპს „სამშენებლო და მყარი ნარჩენების მომსახურების სერვისს" შორის 2019 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული №50-181219-02 ხელშეკრულება;
2. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.
3. შეთანხმება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სს„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"	შპს „სამშენებლო და მყარი ნარჩენების მომსახურების სერვისი"
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21	მის: ქ. თბილისი, ზემო ვეძისის ქ. №71
ტელ.: (032) 224 40 40	ტელ: (+995) 593 68 20 65 / 555 90 51 90
ს/კ 206237491	ს/კ: 426537429
სს"თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22	სს„თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის №GE71TB7895736030100001	ანგარიშის №GE75TB7535436080100007
დირექტორი კომერციულ საკითხებში	დირექტორი
თ. გოცირიძე	გ. ახალკაციშვილი

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია Georgian Oil and Gas Corporation 206237491

GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC

Digitally signed by GEORGIAN OIL AND GAS CORPORATION JSC
Date: 2019.12.27 11:36:17 +04'00'

ნ. ხუჭუა

ი. ოთხოზორია